Initiative
Faire Landarbeit

თქვენი, როგორც სეზონური მუშაკის, უფლებები გერმანიაში

დასაქმებულებისთვის
საქართველოდან და მოლდოვადან

გამომცემელი

გერმანიის პროფკავშირების კონფედერაცია
(Deutscher Gewerkschaftsbund)
ჰენრიეტ-ჰერც-პლაცი 2 **(Henriette-Herz-Platz 2)**
10178 ბერლინი **(Berlin)**
შინაარსზე იურიდიულად პასუხისმგებელი პირი: ანია პიელი
(Anja Piel)

ბერლინი, თებერვალი 2022. ყველა უფლება დაცულია.

გამომცემელი
Initiative Faire Landarbeit
მიგრანტ მუშაკთა საკითხების/სამართლიანი მობილობის
ევროპული ასოციაცია

(Europäischer Verein für Wanderarbeiterfragen/Faire Mobilität)
საკონტაქტო პირი: ბენჟამინ ლუიχ (Benjamin Luig)
benjamin.luig@emwu.org

მეგობრული მხარდაჭერა გასწიეს:
Support Faire Integration, DGB Bildungswerk BUND
საკონტაქტო პირი: ფელიქს ლიტშაუერი (Felix Litschauer)
sfi@dgb-bildungswerk.de

და დასაქმების ფედერალური სააგენტო
(Bundesagentur für Arbeit)
საერთაშორისო ურთიერთობები (Internationale Beziehungen)
საკონტაქტო პირი: სტეფანი კულა (Stefanie Kulla)
Zentrale.INT23@arbeitsagentur.de

განლაგება: Gereon Nolte, Andrew Collar (ZWH)

2022 წლის თებერვლის მდგომარეობით

პასუხისმგებლობის გამორიცხვა
ინფორმაცია იძლევა მხოლოდ ზოგად მიმოხილვას/ორიენტაციას და არ წარმოადგენს იურიდიულად სავალდებულო ინფორმაციას. მოცემული ინფორმაცია ვერ ჩაანაცვლებს (იურიდიულ) კონსულტაციას. გარანტია მუდმივ აქტუალურობაზე არ არის მოცემული.

Das Förderprogramm „Integration durch Qualifizierung (IQ)“ wird durch das Bundesministerium für Arbeit und Soziales und den Europäischen Sozialfonds gefördert.

Bundesministerium für Arbeit und Soziales
ESF Europäischer Sozialfonds für Deutschland
Europäische Union
Zusammen. Zukunft. Gestalten.

In Kooperation mit:

Bundesministerium für Bildung und Forschung
Bundesagentur für Arbeit

თქვენს სამუშაოსთან ან დამსაქმებელთან დაკავშირებული შეკითხვების ან პრობლემების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, მიმართოთ ჩვენს საკონსულტაციო ცენტრებს.

ჩვენ გაგიწევთ კონსულტაციას უფასოდ, ანონიმურად და თქვენს ენაზე.

ჩვენ დაგეხმარებით პრობლემების შემთხვევაში და მოგაწოდებთ ინფორმაციას თქვენი უფლებების შესახებ გერმანიაში მუშაობისას.

მოგვწერეთ ელ.წერილი მისამართზე:
sfi@dgb-bildungswerk.de
ჩვენ დაგიკავშირდებით!

გსურთ გერმანიაში გამგზავრება, იმისათვის რომ მოსავლის აღების პერიოდში სოფლის მეურნეობაში იმუშაოთ?

ამ ბუკლეტში ნახავთ უახლეს ინფორმაციას შრომითი ხელშეკრულებების, სამუშაო დროის, ხელფასის, კვების, საცხოვრებლის და შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.

გერმანიის შრომის კანონმდებლობა ვრცელდება ასევე სეზონურ მუშაკებზე. ეს მოიცავს საათში მინიმალური ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, ავადმყოფობის შემთხვევაში ხელფასის გადახდის გაგრძელებას და სხვა მრავალს.

შეიტყვეთ თქვენი უფლებების შესახებ აქ. თქვენს სამუშაოსთან ან დამსაქმებელთან დაკავშირებული შეკითხვების ან პრობლემების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, მიმართოთ ჩვენს საკონსულტაციო ცენტრებს.

ჩვენ გაგიწევთ კონსულტაციას უფასოდ, ანონიმურად და თქვენს ენაზე.

ამ საინფორმაციო ფურცელში მოცემულია შრომითი სამართლის ძირითადი ნორმები. არსებობს გამონაკლისები ამ წესებიდან. თუ გაქვთ გაურკვევლობები ან რაიმე შეკითხვა დარეკეთ საკონსულტაციო ცენტრში.

შინაარსი

როგორ რეგულირდება თქვენი დასაქმება გერმანიაში?.....9

რამდენს გამოიმუშავებთ როგორც სეზონური მუშაკი?.....10

როდის უნდა მოხდეს თქვენთვის ხელფასის გადახდა? 13

სად ხართ სოციალურად დაზღვეული? 14

როგორი ჯანმრთელობის დაზღვევა გაქვთ და რას
აკეთებთ იმ შემთხვევაში, თუ ავად ხართ?.....16

რა ითვლება სამუშაო დროდ სოფლის მეურნეობაში?.....18

რამდენ ხანს და რა რაოდენობით გაქვთ უფლება
იმუშაოთ სეზონურ მუშაკად? 19

რა არის ზეგანაკვეთური საათები და უნდა
ანაზღაურდეს თუ არა?.....20

როგორი შრომითი ხელშეკრულება გაქვთ?.....20

რა შეგიძლიათ გააკეთოთ, თუ არ ეთანხმებით
საწარმოში სამუშაო პირობებს?.....22

შეგიძლიათ შეცვალოთ თქვენი დამსაქმებელი? 24

რა უნდა გააკეთოთ, თუ სამსახურიდან გათავისუფლდებით? ..24

რა გავლენას მოახდენს სამსახურიდან გათავისუფლება
ქვეყანაში თქვენს ყოფნაზე? 26

შესაძლებელია თუ არა კონკრეტულ დამსაქმებელთან
მუშაობა? 27

დასაქმების შუამავლობის და მგზავრობის ხარჯები 27

რა თანხა შეიძლება რომ გადაგახდევინონ
საცხოვრებლისა და კვებისთვის?.....28

დამცავი აღჭურვილობა, სამუშაო ხელსაწყოები და წყალი.....30

როგორ დაიცვათ თავი დავის არსებობის შემთხვევაში? 31

როგორ გახდებით პროფკავშირის წევრი? 32

შეიძლება თუ არა გაიკეთოთ Covid-19-ის
საწინააღმდეგო ვაქცინაცია?.....33

თუ თქვენ დაინფიცირდით კორონა ვირუსით 33

როდის მიიღებთ ხელფასს კარანტინის პერიოდში?.....34

მნიშვნელოვანი ტელეფონის ნომრები და მისამართები
გერმანიაში 35

როგორ რეგულირდება თქვენი დასაქმება გერმანიაში?

გერმანიის დასაქმების სამსახურმა (დასაქმების ფედერალური სააგენტო) გააფორმა დასაქმების შუამავლობის შეთანხმებები საქართველოს (SESA) და მოლდოვის რესპუბლიკის (NEA) დასაქმების სამსახურებთან. ამ შეთანხმებების საფუძველზე თქვენ შეგიძლიათ უვიზოდ დროებითი მუშაობის ნებართვით იმუშაოთ მოსავლის აღების პროცესში დამხმარედ გერმანიის ფერმაში. ინფორმაციის მიღება ვაკანსიების შესახებ და შუამავლობა ხდება თქვენი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მეშვეობით. თქვენ მიიღებთ სამუშაო ნებართვას კონკრეტული პერიოდისა და საქმიანობისთვის. სამუშაო ნებართვით და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით შეგიძლიათ გერმანიაში შესვლა. დასაქმების შუამავლობის შეთანხმების ფარგლებში თქვენი დასაქმება გერმანიაში სოფლის მეურნეობაში შეიძლება გაგრძელდეს 90 დღე 180 დღის განმავლობაში.

სამუშაო ნებართვაში მითითებული დროის პერიოდი გადამწყვეტია გერმანიაში თქვენი ყოფნის ხანგრძლივობისთვის.

რამდენს გამოიმუშავებთ როგორც სეზონური მუშაკი?

გერმანიის სოფლის მეურნეობაში ყველა დასაქმებულზე ვრცელდება კანონით დადგენილი მინიმალური ბრუტო ხელფასი 9,82 € საათში.

კანონით დადგენილი მინიმალური ხელფასი იზრდება: 2022 წლის 1 ივლისიდან 10,45€-მდე ბრეუტო საათში, 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 12.00€-მდე ბრუტო საათში.

ეს ხელფასი ეხება ყველას, ვინც მუშაობს გერმანიაში, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ქვეყნიდანაა. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ამაში თქვენს საცხოვრებელ ადგილს ან თქვენს ეროვნებას. მოსავლის აღების დროს დამსაქმებლები ხშირად მიუთითებენ რამდენი კილო ხილი და ბოსტნეული უნდა აიღოს მომუშავემ და რამდენ ევროს მიიღებს ის ამაში. ცალობაზე და შესრულებული სამუშაოს რაოდენობაზე დამოკიდებული ასეთი ანაზღაურებები დასაშვებია. მიუხედავად ამისა, დამსაქმებელმა არ შეიძლება გადაგიხადოთ საათში იმაზე ნაკლები, ვიდრე ამჟამად მოქმედი მინიმალური ხელფასია საათში.
თუ თქვენ საათში იმდენ ყუთ მოსავალს აიღებთ, რომ 9,82 €-ზე მეტს გამოიმუშავებთ, დამსაქმებელს შესაბამისად მეტის გადახდა მოუწევს თქვენთვის.
მაგალითი 1: თუ თქვენ 8 საათს მუშაობთ, სულ მცირე **(8 საათი x 9,82 €) 78,56 €** უნდა მიიღოთ ბრუტო. ეს ასევე ეხება იმ შემთხვევას, თუ თქვენ გიხდიან ყუთების მიხედვით! თქვენი საათობრივი ანაზღაურება არ შეიძლება იყოს იმაზე ნაკლები, ვიდრე ამჟამად მოქმედი მინიმალური ხელფასი საათში.

მნიშვნელოვანია: თქვენი ხელფასის გამოსათვლელად, ყოველ დღე ჩაინიშნეთ თქვენი სამუშაო დროის დასაწყისი, დასასრული და ხანგრძლივობა, შესვენებების ჩათვლით. ჩაინიშნეთ რას და სად მუშაობდით, ასევე კოლეგების სახელები, სახლის მისამართები და ტელეფონის ნომრები, რომლებსაც შეუძლიათ ეს დაადასტურონ. თუ შესაძლებელია, გადაიღეთ ფოტოები. თქვენი საათების აღრიცხვის სია ხელმოწერით დაადასტურებინეთ ზედამხედველს. თუ ეს არ გამოვა, სთხოვეთ კოლეგას ხელმოწერით დაადასტუროს თქვენი ინფორმაცია.

შესრულებული სამუშაოს რაოდენობაზე დამოკიდებული ანაზღაურებისას: ჩაწერეთ ჩაბარებული ყუთები ან რაოდენობა და ასევე ჩაინიშნეთ რამდენი საათი დაგჭირდათ მათ ასაგროვებლად. მხოლოდ თქვენი სამუშაო დროების ზუსტად ჩაწერით შეგიძლიათ შეამოწმოთ სწორია თუ არა მიღებული ხელფასი. შემდეგ გვერდზე შეგიძლიათ იხილოთ იმის მაგალითი, თუ როგორ ჩაწეროთ ნამუშევარი დრო.

ARBEITSZEITKALENDER

Arbeitnehmer/in	Arbeitgeber	Monat	Jahr
Name, Vorname	*Firma XYZ*	*Mai*	*2022*

Datum [tt.mm.jjjj]	Kalender Tag [Name]	Beginn [XX:XX]	Ende [XX:XX]	Pausen [XX:XX]	Dauer [XX:XX]	Sonstige Bezahlte Std. [Urlaub/ Feiertag/ Krank]	Arbeitsort und Anschrift	Art der Tätigkeit von XX:XX bis XX:XX	Zeugen-Bestätigung [Name, Adresse, Handy-Nr.]
01.05.2022	*Sonntag*					*Feiertag*			
02.05.2022	*Montag*	*9:00*	*16:00*	*00:30*	*06:30*				
03.05.2022	*Dienstag*	*9:30*	*15:50*	*00:40*	*05:40*			*10:00 - 12:00 Fenster reinigen 12:00 - 14:00 Putzen*	
06.05.2022	*Freitag*	*8:45*	*14:55*	*00:30*	*05:40*				
07.05.2022	*Samstag*	*9:45*	*14:55*	*01:30*	*04:40*				

როდის უნდა მოხდეს თქვენთვის ხელფასის გადახდა?

ეს წერია თქვენს შრომით ხელშეკრულებაში. თუ თქვენ ხელშეკრულება არ მიგიღიათ, მოითხოვეთ ის! კანონი ითვალისწინებს, რომ ხელფასის გადახდა უნდა მოხდეს ყველაზე გვიან სამუშაოს შესრულების შემდგომი თვის ბოლოს. ეს ნიშნავს, რომ აპრილის ხელფასი უნდა მიიღოთ ყველაზე გვიან 31. მაისს.
გადახდასთან ერთად დამსაქმებელი ვალდებულია მოგცეთ სახელფასო ფურცელი, თუ ხელფასი არ შეცვლილა წინა თვესთან შედარებით.

სახელფასო ფურცელი უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ ინფორმაციას:

- ნამუშევარი საათების რაოდენობა
- ყოველთვიური ბრუტო (მთლიანი) ხელფასის ოდენობა
- სახელფასო გადასახადების და სოციალური დაზღვევის გამოქვითვების ოდენობა
- სხვა გამოქვითვები (მაგ. საცხოვრებელისა და კვებისთვის, წინასწარი საავანსო გადახდები)
- გადასახდელი თანხა (გამოქვითვების შემდეგ დარჩენილი წმინდა ხელფასი)

თუ დამსაქმებელთან შეთანხმებული ხართ, რომ მთლიანი ხელფასი მხოლოდ სეზონური სამუშაოს ბოლოს გადმოგეცემათ, მაშინ აუცილებლად უნდა

მოითხოვოთ ყოველკვირეული შუალედური ანგარიშები WhatsApp-ის ან შეტყობინებების გაგზავნის სხვა სერვისების მეშვეობით და ზუსტად ჩაიწეროთ თქვენი სამუშაო საათები.

თუ ფულს წინასწარ მიიღებთ, გამოართვით ქვითარი ზუსტი თანხის მითითებით (სიტყვიერად დაწერილი). **არასოდეს მოაწეროთ ხელი ცარიელ ბლანკებს, ქვითრებს ან ფურცლებს!**

სად ხართ სოციალურად დაზღვეული?

გერმანიაში არის სოციალური დაზღვევის სისტემა. პრინციპში, თქვენ გერმანიაში დასაქმებული ხართ სავალდებულო სოციალური დაზღვევით. ეს მიზნად ისახავს თანამშრომლების დაცვას ავადმყოფობისა და ასაკობრივი შედეგებისგან. საპენსიო დაზღვევის, უმუშევრობის და ჯანმრთელობის დაზღვევისთვის გადასახდელი შენატანების ნახევარს იხდის საწარმო, ხოლო ნახევარს თქვენ, როგორც დასაქმებული* და თანხა ჩამოიჭრება პირდაპირ ხელფასიდან. ეს ნიშნავს, რომ თქვენი ბრუტო ხელფასის დაახლოებით 20 პროცენტი გამოიქვითება სოციალური უზრუნველყოფის შენატანებისთვის.

მოქმედებს გამონაკლისი კანონით დადგენილი სავალდებულო სოციალური დაზღვევიდან: თუ თქვენ მუშაობთ გერმანიაში მაქსიმუმ 70 დღით ან 3 თვით კალენდარული წლის განმავლობაში და არ მუშაობთ პროფესიონალურად მოსავლის აღების დამხმარედ, შეგიძლიათ დასაქმდეთ სოციალური დაზღვევის გარეშე. დასაქმების ამ ფორმას მოკლევადიანი დასაქმება ეწოდება. ამ შემთხვევაში, თქვენ და თქვენმა დამსაქმებელმა არ უნდა გადაიხადოთ სოციალური უზრუნველყოფის შენატანები გერმანიაში. ამგვარად თქვენ არ იძენთ პენსიის უფლებას და ასევე ავტომატურად არ მიიღებთ ჯანმრთელობის დაზღვევას.

სანამ მუშაობას დაიწყებთ, თქვენი დამსაქმებელი შეამოწმებს, უნდა იყოთ თუ არა სოციალურად დაზღვეული. ამისთვის თქვენ მიიღებთ კითხვარს თქვენი მშობლიური ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოში ან გერმანიის დასაქმების ფედერალურ სააგენტოში (კითხვარი სეზონური მუშაკების დაზღვევის ვალდებულების / დაზღვევისგან გათავისუფლების დასადგენად).

სამუშაო შეიძლება ჩაითვალოს „არაპროფესიონალურად“, თუ თქვენ:

- დიასახლისი ქალი ან მამაკაცი ბრძანდებით, წარადგენთ ქორწინების მოწმობის ასლს და მაგ. მეუღლის შემოსავლის დამადასტურებელ საბუთს.
- ხართ პენსიონერი და წარადგენთ საპენსიო ცნობას.
- ხართ სტუდენტი და წარადგენთ სასწავლებელში ჩარიცხვის ცნობას.

- ხართ სკოლის მოსწავლე და წარადგენთ სკოლის მოწმობას.
- ქვეყანაში, სადაც ცხოვრობთ, გაქვთ სამსახური და ხართ ანაზღაურებად შვებულებაში ან ანაზღაურებთ ზეგანაკვეთურ საათებს.
- ხართ თვითდასაქმებული. თუმცა, თვითდასაქმება არ შეიძლება იყოს სოფლის მეურნეობაში ან მებაღეობაში.

როგორი ჯანმრთელობის დაზღვევა გაქვთ და რას აკეთებთ იმ შემთხვევაში, თუ ავად ხართ?

დარწმუნდით, რომ გაქვთ გერმანიაში მოქმედი ჯანმრთელობის დაზღვევა. თუ თქვენ დასაქმებული ხართ სავალდებულო სოციალური დაზღვევით, თქვენ ავტომატურად გაქვთ გერმანიაში ჯანმრთელობის

ყურადღება: თუ თქვენ მოკლევადიანი დასაქმებით მუშაობთ თქვენ ავტომატურად არ გექნებათ ჯანმრთელობის დაზღვევა. თუ თქვენ გერმანიაში არ გაქვთ სათანადო მოცულობის ჯანმრთელობის დაზღვევა, მაშინ თქვენმა დამსაქმებელმა უნდა გააფორმოს თქვენთვის კერძო ჯანმრთელობის დაზღვევა.

დაზღვევა. თუ დამსაქმებელს სურს თქვენი ხელფასიდან გამოქვითოს ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯები, მაშინ ეს ცალკე უნდა იყოს ნაჩვენები! აიღეთ ცნობა თქვენი ჯანმრთელობის დაზღვევის შესახებ, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ ავადმყოფობის შემთხვევაში ექიმთან ვიზიტის დროს.

თუ ავად გახდებით, დაუყოვნებლივ აცნობეთ თქვენს დამსაქმებელს და მიმართეთ ექიმს. ექიმი გაგსინჯავთ და თუ არ შეგიძლიათ მუშაობა, მოგცემთ შრომისუუნარობის ცნობას („შვებულება ავადმყოფობის გამო“). თქვენ უნდა წარუდგინოთ ეს ცნობა თქვენს დამსაქმებელს.

მუშაობთ ერთსა და იმავე საწარმოში 4 კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში? თუ ექიმი მოგცემთ ავადმყოფობის შვებულებას, მაშინ თქვენი დამსაქმებელი გააგრძელებს თქვენთვის ხელფასის გადახდას ავადმყოფობის პერიოდში, მაქსიმუმ ექვსი კვირის განმავლობაში. თუ თქვენ გაქვთ ჯანმრთელობის დაზღვევა გერმანიაში, შესაძლოა შემდგომშიც გქონდეთ ავადმყოფობის გამო გაცდენილი დღეების ანაზღაურების მიღების უფლება. ამასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ჩვენს საკონსულტაციო ცენტრებში. თუ თქვენ გაქვთ ჯანმრთელობის დაზღვევა თქვენი წარმოშობის ქვეყანაში, შესაძლოა მაინც თავად მოგიწიოთ მკურნალობის საფასურის გადახდა გერმანიაში. ამ შემთხვევაში აუცილებლად მოითხოვეთ ზუსტი თანხის ქვითარი. უკან დაბრუნების შემდეგ

წარუდგინეთ ეს ქვითარი თქვენს ჯანმრთელობის დაზღვევის კომპანიას, რათა აგინაზღაურდეთ ხარჯები.

მითითება: თქვენ გაქვთ უფლება თავად აირჩიოთ თქვენთვის ექიმი. იქ წარადგინეთ თქვენი ჯანმრთელობის დაზღვევის ბარათი ან მოწმობა ჯანმრთელობის დაზღვევის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ექიმს შეუძლია გადაგახდევინოთ მკურნალობის ხარჯები. აუცილებელი მკურნალობის საჭიროების შემთხვევაში არ შეიძლება რომ უარით გაგისტუმრონ. ფეხის მოტეხილობის, დაზიანებული კბილის, ვირუსული ინფექციის და მსგავსი გადაუდებელი შემთხვევებისას, ან ქრონიკული დაავადებების მუდმივი მეთვალყურეობის დროს, როგორიცაა დიაბეტი, თქვენ ყოველთვის გაქვთ უფლება ისარგებლოთ სამედიცინო მკურნალობით.

რა ითვლება სამუშაო დროდ სოფლის მეურნეობაში?

სამუშაო დრო ათვლას იწყებს, როდესაც თქვენ დგახართ მინდორში, ფერმაში ან საწარმოს სხვა ადგილას და იწყებთ მუშაობას.

შესვენებები არ არის სამუშაო დროის ნაწილი. თუ თქვენ მუშაობთ 6-დან 9 საათამდე, თქვენ გეკუთვნით 30 წუთიანი შესვენება, რომლის გამოყენების უფლება გაქვთ არაუგვიანეს 6 საათის შემდეგ. თუ თქვენ მუშაობთ 9 საათზე მეტ ხანს, თქვენ გაქვთ 45 წუთიანი შესვენების უფლება. შესვენების დრო არ არის სამუშაო დროის ნაწილი და არ იქნება ანაზღაურებული. თუმცა, დრო, რომელიც დაგჭირდებათ ერთმანეთის მიყოლებით მდებარე ორ ლოკაციაზე (მინდვრებზე) მისასვლელად, ითვლება სამუშაო დროდ და უნდა ანაზღაურდეს.

რამდენ ხანს და რა რაოდენობით გაქვთ უფლება იმუშაოთ სეზონურ მუშაკად?

საშუალო სამუშაო დრო გერმანიაში ჩვეულებრივ არის 8 საათი დღეში და დასაშვებია დროებით 10 საათამდე - ზოგიერთ შემთხვევებში 12 საათამდე- გახანგრძლივდეს. ორ სამუშაო ცვლას შორის ჩვეულებრივ საჭიროა 11 საათიანი დასვენების დრო. თქვენს სამუშაო დროსთან და ხელფასთან დაკავშირებით მოქმედებს პირველ რიგში ის პირობები, რაც შეთანხმებულია თქვენს შრომით ხელშეკრულებაში. გარდა ამისა, თქვენ გაქვთ მინიმუმ 30 საათიანი რეგულარული ყოველკვირეული სამუშაო დროის უფლება. ეს წერია კანონში. თქვენს დამსაქმებელს არ აქვს უფლება რეგულარულად გამუშაოთ კვირაში 30 საათზე ნაკლები.

რა არის ზეგანაკვეთური საათები და უნდა ანაზღაურდეს თუ არა?

დამსაქმებელს შეუძლია შეუკვეთოს ზეგანაკვეთური საათები, თუ ეს პირდაპირ არის შეთანხმებული შრომითი ხელშეკრულებით. თუმცა, ამ შემთხვევაში მოქმედებს წესი, რომ ძირითადად სამუშაო დრო არ უნდა აღემატებოდეს დღეში 10 საათს. ზეგანაკვეთური სამუშაო საათები ჩვეულებრივ უნდა ანაზღაურდეს. დასვენების დღეებით მათი კომპენსირება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს შეთანხმებულია შრომით ხელშეკრულებაში.

როგორი შრომითი ხელშეკრულება გაქვთ?

თქვენი დამსაქმებელი არ არის ვალდებული მოგაწოდოთ წერილობითი შრომითი ხელშეკრულება თქვენს მიერ სამშობლოს დატოვების წინ. შრომითი ხელშეკრულება ასევე გაფორმებულად ითვლება, თუ თქვენ დამსაქმებელთან ზეპირსიტყვიერად ან ელ-ფოსტით სამუშაო საათების რაოდენობა (მინიმუმ 30 საათი კვირაში) და ხელფასი (მინიმუმ გერმანიაში კანონით დადგენილი მინიმალური ხელფასის ოდენობა - 2022 წლის 1 ივლისიდან 10,45€-მდე ბრეუტო საათში, 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 12.00€-მდე ბრუტო საათში. თუმცა დამსაქმებელმა წერილობით უნდა გადმოქცეთ ხელშეკრულების ძირითადი პირობები გერმანიაში მუშაობის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა. თუმცა, სანამ გერმანიაში ჩახვალთ, სთხოვეთ თქვენს დამსაქმებელს წერილობითი შრომითი ხელშეკრულება. მხოლოდ ამ გზით მიიღებთ წინასწარ სავალდებულო ინფორმაციას პირობების შესახებ, რომლითაც თქვენ იმუშავებთ გერმანიაში.

თქვენი დამსაქმებელი არ არის ვალდებული შეადგინოს ხელშეკრულება თქვენს ენაზე. თუ შრომითი ხელშეკრულება დაწერილია თქვენთვის უცხო ენაზე, წინასწარ გადაათარგმნინეთ იგი. ხელი არ მოაწეროთ არაფერს, რაც არ გესმით. აუცილებლად მოითხოვეთ ხელშეკრულების ხელმოწერილი ასლი და კარგად შეინახეთ იგი.

კანონის მიხედვით შრომით ხელშეკრულებაში მოცემული უნდა იყოს:

- თქვენი და თქვენი დამსაქმებლის სახელი და მისამართი
- შრომითი ურთიერთობის დასაწყისი და მოსალოდნელი ხანგრძლივობა
- სამუშაო ადგილი
- სამუშაოს აღწერა
- ხელფასის ოდენობა ასევე შესაძლო დანამატები და მათი გადახდის დრო
- შეთანხმებული სამუშაო დრო
- შვებულების ხანგრძლივობა

- სამსახურიდან გათავისუფლების ვადები
- მითითება მოქმედ კოლექტიურ ხელშეკრულებებზე

თქვენ შეგიძლიათ იპოვოთ შრომითი ხელშეკრულების ნიმუშის კარგი მაგალითები თქვენს ენაზე ვებ-გვერდზე: https://www.arbeitsagentur.de/en/en/download-center#1478937607510

რა შეგიძლიათ გააკეთოთ, თუ არ ეთანხმებით საწარმოში სამუშაო პირობებს?

ფერმაში არსებული პირობები არ შეესაბამება თქვენს შრომით ხელშეკრულებაში მოცემულ შეთანხმებებს თუ თქვენ არ ეთანხმებით სამუშაო პირობებს? განიხილეთ ეს თქვენს დამსაქმებელთან. თქვენ ასევე შეგიძლიათ ნებისმიერ დროს სამსახურიდან გათავისუფლება.

ყურადღება: იმის გამო, რომ თქვენი ყოფნა ქვეყანაში დაკავშირებულია თქვენს დასაქმებასთან, სამსახურიდან გათავისუფლებამ შეიძლება გავლენა იქონიოს თქვენს ყოფნაზე გერმანიაში. თუ თქვენ გაქვთ პრობლემები თქვენს დამსაქმებელთან ან სამსახურთან დაკავშირებით დაუკავშირდით საკონსულტაციო ცენტრს.

თქვენ წერილობითი ფორმით უნდა გათავისუფლდეთ სამსახურიდან და გაითვალისწინოთ თქვენს შრომით ხელშეკრულებაში მითითებული გაფრთხილების ვადები. თუ შრომითი ურთიერთობის დროს წარმოიქმნება პრობლემები და თქვენ შეგექმნებათ შთაბეჭდილება, რომ დამსაქმებელი არ იცავს შეთანხმებულ პირობებს, თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ ცენტრალურ საერთაშორისო განთავსების ოფისს (ZAV) ელ.ფოსტით და იჩივლოთ სამუშაო პირობებსა და/ან თქვენს დამსაქმებელზე: ელ.ფოსტის მისამართი არის: **zav.saison@arbeitsagentur.de** (პროექტის საშუამავლო გუნდი სეზონური სამუშაოს მუშაკებისთვის ZAV-ში).

ZAV არის გერმანიის დასაქმების ადმინისტრირების ინსტიტუცია (დასაქმების ფედერალური სააგენტო) და პასუხისმგებელია უცხოეთიდან სპეციალური პროფესიული ჯგუფების შუამავლობით დასაქმებაზე. დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში ZAV დამსაქმებელს მოსთხოვს სამუშაო პირობების გამოსწორებას. თუ არაფერი შეიცვლება,შეგიძლიათ ZAV-ის დახმარებით სხვა დამსაქმებლის მოძებნა („გადასაქმება“) და დროის დარჩენილი პერიოდი შეიძლება სხვა საწარმოში იმუშაოთ.
ѕთქვენ ასევე შეგიძლიათ დაუკავშირდეთ საკონსულტაციო ცენტრს, რომელიც დაგეხმარებათ ამ პროცესში. ამ ბროშურის დასაწყისში და ბოლოში შეგიძლიათ იპოვნოთ საკონსულტაციო ცენტრების საკონტაქტო ინფორმაცია.

შეგიძლიათ შეცვალოთ თქვენი დამსაქმებელი?

დამსაქმებლის შეცვლა შესაძლებელია, თუ ამისათვის მნიშვნელოვანი მიზეზები არსებობს. ასეთი მიზეზებია, როდესაც თქვენი დამქირავებელი არ იცავს საკანონმდებლო ნორმებს ან არ ასრულებს იმ პირობებს, რაც თქვენ წინასწარ შეათანხმეთ; მაგალითად, თუ ის არ გიხდით კანონით განსაზღვრულ მინიმალურ ხელფასს. ასეთ შემთხვევაში ZAV მოსთხოვს დამსაქმებელს სამუშაო პირობების გამოსწორებას. თუ ეს არ მოხდება, თქვენ შეგიძლიათ ZAV-ის დახმარებით შეცვალოთ დამსაქმებელი. თუ თქვენ შეგექმნებათ პრობლემები და მოისურვებთ შეცვალოთ საწარმო, მიმართეთ ZAV-ს. ჩვენ დაგეხმარებით ამაში, როგორც საკონსულტაციო ცენტრი.

ZAV-ის საკონტაქტო ინფორმაცია – გუნდი სეზონი:
ელფოსტა: **zav.saison@arbeitsagentur.de**

რა უნდა გააკეთოთ, თუ სამსახურიდან გათავისუფლდებით?

სამსახურიდან გათავისუფლება ყოველთვის უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით, რაც ნიშნავს, რომ ეს უნდა იყოს ფურცელზე და ხელმოწერილი პირადად დამსაქმებლის მიერ. თუ თქვენ თავად გსურთ სამსახურიდან გათავისუფლება, თქვენც ასევე ხელმოწერილი წერილი უნდა გადასცეთ დამსაქმებელს.

სამსახურიდან გათავისუფლების წერილში უნდა დაიცვათ წინასწარი შეტყობინების გარკვეული ვადები. თუ სამუშაო ურთიერთობის ხანგრძლივობა არის 3 თვეზე ნაკლები, წინასწარი შეტყობინების ვადა შეიძლება იყოს ძალიან ხანმოკლე. მნიშვნელოვანი მიზეზის გამო დამსაქმებელს ასევე შეუძლია წინასწარი შეტყობინების გარეშე ანუ დაუყოვნებლივ გაგათავისუფლოთ სამსახურიდან.

თუ მიიღებთ შეტყობინებას გათავისუფლების შესახებ, აუცილებლად დაუკავშირდით საკონსულტაციო ცენტრს. სამსახურიდან გათავისუფლება შეიძლება იყოს ბათილი, რადგან დამსაქმებელმა დაუშვა შეცდომები. სიტყვიერი გათავისუფლება, SMS-ის, WhatsApp-ის, Viber-ის ან ელ-ფოსტის საშუალებით გათავისუფლება ან სკანირებული ხელმოწერებით ან ქსეროასლებით გათავისუფლება ბათილია.

სიტყვიერი გათავისუფლება ყოველთვის ბათილია! თუმცა, იმისათვის, რომ შეინარჩუნოთ ხელფასის მიღების უფლება, თქვენ უნდა უთხრათ დამსაქმებელს, რომ გსურთ და შეგიძლიათ მუშაობის გაგრძელება. ამ საუბრისას თქვენ მოწმის სახით თან უნდა გყავდეთ კოლეგა ან მობილური ტელეფონის მეშვეობით წერილობით უნდა აცნობოთ ამის შესახებ დამსაქმებელს.

ყურადღება: ზეპირსიტყვიერი გათავისუფლება ან გათავისუფლების შეტყობინება, რომელიც მიიღეთ SMS-ით, WhatsApp-ით, Viber-ით ან ელ-ფოსტით, იქნება კანონიერი ძალის მქონე, თუ თქვენ მას არ გაასაჩივრებთ. ამიტომ: თუ თქვენ წერილობით ან ზეპირსიტყვიერად გაგათავისუფლებენ და თქვენ გენდომებათ მუშაობის გაგრძელება, დაუყოვნებლივ დაუკავშირდით საკონსულტაციო ცენტრს!

რა გავლენას მოახდენს სამსახურიდან გათავისუფლება ქვეყანაში თქვენს ყოფნაზე?

სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში აუცილებლად დაუკავშირდით საკონსულტაციო ცენტრს, რათა გაეცნოთ თქვენს უფლებებს სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ.

თქვენი ყოფნა ქვეყანაში დაკავშირებულია კონკრეტულ საწარმოში მუშაობასთან. თუ თქვენ მიიღებთ შეტყობინებას გათავისუფლების შესახებ ან თავად გათავისუფლდებით სამსახურიდან, გერმანიაში ყოფნის ანუ ბინადრობის ნებართვა ამოიწურება ბოლო სამუშაო დღეს.

შესაძლებელია თუ არა კონკრეტულ დამსაქმებელთან მუშაობა?

თუ თქვენ უკვე მუშაობდით გერმანიაში სასოფლო-სამეურნეო საწარმოში და გსურთ შემდეგ სეზონზე ისევ იქ მუშაობა, თქვენს დამსაქმებელს შეუძლია სახელით მოითხოვოს პირადად თქვენი თავი, როგორც სეზონური მუშაკი.

მაშინაც კი, თუ თქვენ თქვენს სამშობლოში უკვე გაქვთ კონტაქტი დამსაქმებელთან გერმანიაში, დამსაქმებელს შეუძლია სახელით მოითხოვოს პირადად თქვენი თავი, როგორც სეზონური მუშაკი. ეს ასევე შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ თქვენ აქამდე იქ არ გიმუშავიათ. მაშინ შრომითი ურთიერთობა დამყარდება პირდაპირ თქვენსა და დამსაქმებელს შორის, დასაქმების პროცესში ZAV-ის / დასაქმების ფედერალური სააგენტოს ჩართვის გარეშე. ასეთ შემთხვევებში დასაქმების ფედერალური სააგენტო მხოლოდ მუშაობის ნებართვას გასცემს.

დასაქმების შუამავლობის და მგზავრობის ხარჯები

თქვენთვის, როგორც დასაქმებულისთვის, არ შეიძლება წარმოიშვას არანაირი ხარჯი სამუშაოზე დასაქმებასთან დაკავშირებით შუამავლობის შეთანხმების ფარგლებში. ეს აკრძალულია. თავი

შეიკავეთ სხვა საშუამავლო შეთავაზებებისგან, რომლებზეც შეიძლება ხარჯების გაწევა მოგიწიოთ. თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი ქვეყნის პასუხისმგებელი ორგანოს ოფიციალური საშუამავლო შეთავაზებები. ისინი უფასოა.

სანამ სამუშაო შეთავაზებას დათანხმდებით, დააზუსტეთ, ვინ გადაიხდის მგზავრობის ხარჯებს და რამდენად მაღალი იქნება ისინი თქვენთვის. ეს მითითებული უნდა იყოს სამუშაო შეთავაზებაში ან ხელშეკრულებაში.

რა თანხა შეიძლება რომ გადაგახდევინონ საცხოვრებლისა და კვებისთვის?

სანამ სამუშაო შეთავაზებას დათანხმდებით, დააზუსტეთ, ვინ გადაიხდის საცხოვრებლის ხარჯებს.

თქვენმა დამსაქმებელმა უნდა შემოგთავაზოთ საცხოვრებელი: ის ან თავად შემოგთავაზებთ საცხოვრებელს ან მესამე მხარის მეშვეობით. ამისათვის უნდა არსებობდეს ხელშეკრულება, რომელშიც მითითებული იქნება ხარჯები. ხარჯები შეიძლება გამოიქვითოს ხელფასიდან, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ამაზე დათანხმდით თქვენს შრომით ან ქირავნობის ხელშეკრულებაში.

თქვენმა დამსაქმებელმა უნდა გაითვალისწინოს ხარჯების გამოქვითვის დადგენილი მაქსიმალური ლიმიტები. ხარჯები მითითებული უნდა იყოს სახელფასო ფურცელში და იყოს თქვენთვის გასაგები.

კვებისთვის დამსაქმებელს შეუძლია 2022 წელს თვეში მაქსიმუმ 270 € გამოქვითოს თქვენი ხელფასიდან.

მთლიანი ხარჯები დღეში: 9 €

- საუზმე: 1,87 €
- სადილი: 3,57 €
- ვახშამი: 3,57 €

საცხოვრებლისთვის 2022 წელს დასაშვებია მაქსიმუმ შემდეგი ოდენობის თანხების გამოქვითვა თვეში:

- ერთსაწოლიანი ოთახი: 241 €
- ერთ ოთახში ორი ადამიანის შემთხვევაში 144,60 € ერთ ადამიანზე
- სამი ადამიანის შემთხვევაში 120,50 € ერთ ადამიანზე
- სამზე მეტი ადამიანის შემთხვევაში 96,40 € ერთ ადამიანზე

მნიშვნელოვანია! თუ თქვენი დამსაქმებელი გამოქვითავს თქვენი ხელფასიდან კვებისა და საცხოვრებლის ხარჯებს, მან უნდა გაითვალისწინოს, რომ თქვენ საკმარისი ფული დაგრჩეთ საცხოვრებლად. ამ მინიმალურ თანხას ეწოდება კომფისკაციისგან თავისუფალი ლიმიტი და არ შეიძლება დამსაქმებლის მიერ იქნას შემცირებული. თქვენ უნდა დაგრჩეთ კომფისკაციისგან თავისუფალი თანხა მინიმუმ 1259,99 € /თვეში 2022 წელს. თუ საკვები და საცხოვრებელი არ შეესაბამება შეთანხმებულ პირობებს, გადაუღეთ ფოტოები! დავის შემთხვევაში შეგიძლიათ გამოიყენოთ ისინი მტკიცებულებად.

დამცავი აღჭურვილობა, სამუშაო ხელსაწყოები და წყალი

ყველა სამუშაო ხელსაწყო და პირადი დამცავი აღჭურვილობა უფასოდ უნდა გადმოგცეთ თქვენმა დამსაქმებელმა. ამაში შედის სამუშაო ხელთათმანები, ასევე მზისა და წვიმისგან დამცავი საშუალებები. ცხელ ამინდში მუშაობისას თქვენ ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოთ საკმარისი წყლით. როდესაც მიიღებთ პირველ ყოველთვიურ სახელფასო ფურცელს, დარწმუნდით, რომ ზემოთ ჩამოთვლილისთვის თქვენ არაფერი გამოგექვითათ ხელფასიდან.

როგორ დაიცვათ თავი დავის არსებობის შემთხვევაში?

Կიმისთვის, რომ კარგად იყოთ მომზადებული შრომითი დავის შემთხვევაში, გადაიღეთ კომპანიის სახელი, კომპანიის შენობები, კომპანიის ადგილსამყოფელი და ასევე საცხოვრებლის ფოტოები. თუ შესაძლებელია, გადაუღეთ ფოტო ყველა დოკუმენტს, რომელსაც ხელს აწერთ.

ჩაწერეთ ყოველდღიურად თქვენი სამუშაო დროები და სთხოვეთ კოლეგებს ამის დადასტურება ხელმოწერით. თუ მაგალითად ზეგანაკვეთური საათებისთვის არ გიხდიან, თქვენ უნდა დაამტკიცოთ, რომ ნამდვილად იმუშავეთ ზეგანაკვეთური საათები.

თუ თქვენ გაქვთ დავა დამსაქმებელთან, შეგიძლიათ მიიღოთ მხარდაჭერა საკონსულტაციო ცენტრებში. როგორც პროფკავშირი IG BAU-ს წევრისთვის თქვენთვის ხელმისაწვდომია ასევე პროფკავშირის სამართლებრივი დაცვა. ეს ნიშნავს, რომ თქვენ ასევე დაგეხმარებიან სასამართლოში სამართლებრივი დავისას.

როგორ გახდებით პროფკავშირის წევრი?

სეზონურ მუშაკებს გერმანიაში შეუძლიათ გახდნენ შესაბამისი პროფკავშირის IG Bauen-Agrar-Umwelt (IG BAU) წევრები. დავის შემთხვევაში პროფკავშირი დაგეხმარებათ ხელფასის მოთხოვნაში ან სამსახურიდან უსამართლოდ გათავისუფლების წინააღმდეგ ზომების მიღებაში. სეზონური მუშაკებისთვის პროფკავშირის წევრობა ერთ წლამდე ვადით არის შეზღუდული. ის იწყება პირველი შენატანის გადახდით და მთავრდება 12 თვის შემდეგ გაფრთხილების გარეშე, თუ ის არ განახლდება. წლიური საწევრო გადასახადი მთლიანობაში შეადგენს 150,60 €.

წევრობის შესახებ მეტი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ აქ:

- რუმინული: +49 391 4085-107
  https://igbau.de/RUM.html
- რუსული: +49 391 4085-921
  https://igbau.de/RUS.html
- უკრაინული: + 49 391 4085-922
  https://igbau.de/UKR.html
- ინგლისური: +49 391 4085-105
  https://igbau.de/EN.html

შეიძლება თუ არა გაიკეთოთ Covid-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია?

როგორც სეზონურ მუშაკს გერმანიაში თქვენ შეგიძლიათ უფასოდ ჩაიტაროთ ვაქცინაცია. დამსაქმებელმა უნდა გაცნობოთ ვაქცინაციის შეთავაზების შესახებ. ვაქცინაციისთვის თან იქონიეთ ხელმოწერილი შრომითი ხელშეკრულება ან დამსაქმებლის ცნობა და მოქმედი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. თუ დამსაქმებელი შემოგთავაზებთ ვაქცინაციას სამუშაო დროის განმავლობაში ან მხოლოდ ერთ ვაქცინაციის ვიზიტს დაგინიშნავენ სამუშაო დროის განმავლობაში, თქვენ გააგრძელებთ ხელფასის მიღებას.

თუ თქვენ დაინფიცირდით კორონა ვირუსით

თუ თქვენ დაინფიცირდით კორონა ვირუსით, გაქვთ ძლიერი სიმპტომები და არ შეგიძლიათ მუშაობა, აიღეთ ავადმყოფობის შვებულება. დაუყონებლივ შეატყობინეთ დამსაქმებელს თქვენი შრომისუუნარობის შესახებ. ავადმყოფობის სავარაუდო ხანგრძლივობა შეგიძლიათ დაადასტუროთ შრომისუუნარობის ცნობით, რომელსაც მიიღებთ ექიმისგან.

როდის მიიღებთ ხელფასს კარანტინის პერიოდში?

თუ თქვენ ხართ ავადმყოფობის შვებულებაში (მოწმობა შრომისუუნარობის შესახებ), თქვენ გააგრძელებთ ხელფასის მიღებას ავადმყოფობის გამო.

თუ თქვენ დაინფიცირდით კორონა ვირუსით ან გიწევთ კარანტინში ყოფნა ინფიცირებულ ადამიანთან კონტაქტის გამო, მაგრამ არ ხართ შრომისუუნაროდ ავად, მოქმედებს შემდეგი წესი: მაშინ შეიძლება გქონდეთ კომპენსაციის მიღების უფლება თქვენი ხელფასის ოდენობით ინფექციებისგან დაცვის შესახებ კანონის თანახმად. ამ ანაზღაურებას მიიღებთ თქვენი დამსაქმებლისგან ხელფასის ნაცვლად. თქვენს დამსაქმებელს ფულს აუნაზღაურებს ჯანდაცვის დეპარტამენტი.

თუ თქვენ მოგიწევთ კარანტინში ყოფნა და გაქვთ ამის შესახებ შეკითხვები, დაუკავშირდით ჩვენს საკონსულტაციო ცენტრებს.

თუ თქვენს სამუშაო ადგილზე სამუშაო დროს დაწესდება კარანტინი (ე.წ. სამუშაო კარანტინი) და თქვენ გაქვთ შეკითხვები ამის შესახებ, დაუკავშირდით ჩვენს საკონსულტაციო სამსახურს.

ყურადღება: გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ კორონას რეგულაციები შეიძლება შეიცვალოს მოკლე დროში. შეკითხვების ან პრობლემების არსებობის შემთხვევაში, დაუკავშირდით ჩვენს უფასო საკონსულტაციო სამსახურს და აუცილებლად თავადაც მოიძიეთ ინფორმაცია!

მნიშვნელოვანი ტელეფონის ნომრები და მისამართები გერმანიაში

გადაუდებელი დახმარების ტელეფონის ნომრები
პოლიცია: 110 | სამაშველო სამსახური: 112
სახანძრო: 112

ცენტრალურ საერთაშორისო განთავსების ოფისი (ZAV): თუ თქვენ გაქვთ პრობლემები დასაქმებასთან დაკავშირებით ან გაქვთ პრეტენზიები, შეგიძლიათ ელ.წერილით მიმართოთ სეზონური მუშაკების განთავსების გუნდს ცენტრალურ საერთაშორისო განთავსების ოფისში: **zav.saison@arbeitsagentur.de**

სამართლიანი ინტეგრაცია: სამართლიანი ინტეგრაცია კონსულტაციას უწევს ევროკავშირის არაწევრ მოქალაქეებს შრომის სამართლებრივ საკითხებში. აქ შეგიძლიათ იპოვნოთ საკონსულტაციო ცენტრი თქვენს

მახლობლად: **www.faire-integration.de**

სამართლიანი მობილობა: სამართლიანი მობილობა კონსულტაციას უწევს ევროკავშირის წევრ მოქალაქეებს შრომის სამართლებრივ საკითხებში. აქ შეგიძლიათ იპოვნოთ საკონსულტაციო ცენტრი თქვენს მახლობლად: **www.faire-mobilitaet.de/beratungsstellen**

Arbeit und Leben-ის საკონსულტაციო ქსელი Gute Arbeit კონსულტაციას უწევს ევროკავშირის წევრ და არაწევრ მოქალაქეებს შრომის სამართლებრივ საკითხებში. აქ შეგიძლიათ იპოვნოთ საკონსულტაციო ცენტრი თქვენს მახლობლად: **https://www.arbeitundleben.de/arbeitsfelder/beratungsnetzwerk**

საქართველოს საელჩო: რაუხშტრასე 11,
10787 ბერლინი – თიერგართენი;
ტელ.: **+49 (30) 484907 0**
ელ.ფოსტა: **berlin.emb@mfa.gov.ge**
ვებ: **www.botschaftgeorgien.de**

მოლდოვას რესპუბლიკის საელჩო: გოთლანდშტრ. 16,
10439 ბერლინი
ტელ.: +49 (30) 446 52 970
ელ.ფოსტა: office@botschaft-moldau.de
ვებ: https://germania.mfa.gov.md/de

ინფორმაცია სოფლის მეურნეობაში მუშაობისას ჯანმრთელობის დაცვის შესახებ:
www.agriwork-germany.de

მნიშვნელოვანი ტელეფონის ნომრები და მისამართები საქართველოში / მოლდოვას რესპუბლიკაში

საქართველოს პროფკავშირების ფედერაცია:
www.http://gtuc.ge/
ტელეფონი: **(+99532) 2 39 03 55**
ელ.ფოსტა: **info@gtuc.ge**
Facebook: **https://www.facebook.com/gtuc.ge/**

მოლდოვას რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო
ტელეფონი:
08000 1000 (მოლდოვას რესპუბლიკიდან ზარებისთვის)

+373 22 838 414 (უცხოეთიდან ზარებისთვის)
ელ.ფოსტა: **centrulapel@anofm.md**

FAIRE
INTEGRATION

FAIRE INTEGRATION

fair DGB
Arbeitnehmerfreizügigkeit
sozial, gerecht und aktiv

თქვენს სამუშაოსთან ან დამსაქმებელთან დაკავშირებული შეკითხვების ან პრობლემების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, მიმართოთ ჩვენს საკონსულტაციო ცენტრებს.

ჩვენ გაგიწევთ კონსულტაციას უფასოდ, ანონიმურად და თქვენს ენაზე.

ჩვენ დაგეხმარებით პრობლემების შემთხვევაში და მოგაწოდებთ ინფორმაციას თქვენი უფლებების შესახებ გერმანიაში მუშაობისას.

მოგვწერეთ ელ.წერილი მისამართზე:
sfi@dgb-bildungswerk.de
ჩვენ დაგიკავშირდებით!